ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N11

(საქონლის შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქ ფოთი

16 ოქტომბერი 2018 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის ხელბურთის კლუბი ,,ოქროს ვერძი"-ს დირექტორის დარეჯან გეფერიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ორგსერვისი"-ს დირექტორის ინგა ხოშტარიას სახით შემდეგში ,,მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე

,,შემსყიდველი" ქალაქ ფოთის ხელბურთის კლუბს ,,ოქროს ვერძი"-ს 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო ,,მიმწოდებელი" მიაწოდებს საკანცელარიო საქონელს (შემდეგში ,,საქონელი').

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი - ქალაქ ფოთის ხელბურთის კლუბ ,,ოქროს ვერძი"-ში საკანცელარიო საქონლის შესყიდვა.

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა

კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 39112000-სკამები

39130000-მაგიდა

ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 680-00 (ექვსასოთხმოცი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები - 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

4.2 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ შეისყიდოს სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული საქონლის მთლიანი რაოდენობა.

4.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი) და ანგარიშფაქტურა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ მომსახურების შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.